პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 208 (13900) | სამშაბათი, 5 სექტემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ზრომითი ნოგათმბი

ბჟიხულ. (საკ. კორ.). მუშახტეთა ქალაქს თუ ეხტუმრებით, თქვენს ყურადღებას უეჭველად მიიპყრობს მდინარე ტყიბულას მარჯვენა სანაპიროზე აღმართული რკინაბეტონის უზარმაზარი შენობა. ეს არის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა. თითხმეტ წელზე მეტია, რაც იგი მუყაობრში დგას და აქაური „მავი ოქრის“ ხარისხს აუმჯობესებს.

ამას წინათ ფაბრიკაში დაიდგა ორი ახალი გაუმჯობესებული ტიპის საკლასიფიკაციო ცხრილი, რის შედეგადაც გაუმჯობესდა დამლექი აგრეგატების მუშაობის რეჟიმი. წვრილი და საშუალო კლასის ქვანახშირის დამლექი მანქანები ეელარ აკმაყოფილებდნენ გაზრდილ მოთხოვნილებას. ამიტომ ისინი მოდერნიზებულ იქნენ. ამავე დროს აგრეგატები ავტომატურ მართვაზე გადაიყვანეს.

ყველა ამ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიების განხორციელებამ თავისი შედეგი გამოიღო. გაიზარდა საკოქსე კონცენტრატის გამოშვება. ფაბრიკამ რუსთაველ მეტალურგებს უკვე გაუგზავნა ხუთი ათას ტონამდე ზეკეგმითი კონცენტრატი. მნიშვნელოვნად აჯაღლდა თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა ხარისხი.

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ხაიუბილეო შრომითს ვახტზე წარმატებებს აღწევს სატრაქტორო ქარხნის კოლექტივი, რომელმაც გადაზე ერთი კვირით ადრე, ამასთან გადაჭარბებით, შეასრულა პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის რვა თვის დავალება.

ტრაქტორმშენებლებმა სოფელს დავალების გადამეტებით გაუგზავნეს 5 ცალ მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი „რიონი-2“, 6 ცალი „ტ-16-მრ“ მარკის მოდერნიზებული ტრაქტორი, აგრეთვე მისაბმელი [illegible] გუთნები.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში მისაბმა მაგალითებს იძლევიან № 2 ამწყობ-მექანიკური საამქროს, თერმული [illegible] ტეხვები, რომლებსაც ვ. ჯორბენაძე, ს. ვა[illegible] [illegible]

კასპი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შესახვედრად ნაყოფიერად შრომობს კასპის სტამბის კოლექტივი (დირექტორი გ. ნოეარაძე). ჯერ კიდევ 11 აგვისტოსათვის სტამბის მუშა-მოსამსახურეებმა რვა თვის გეგმა შეასრულეს და ხელტემბრის ანგარიშში დაიწყეს მუშაობა.

კოლექტივმა გამოუშვა 11.450 მანეთის საერთო პროდუქცია ნაცვლად 10.700 მანეთისა. ამ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს სტამბის ბრიგადირმა ა. გორგაძემ, ახოთამწყობებმა ე. სარალელმა, მ. უაზარაშვილმა, ე. თაბუკაშვილმა, მ. ტურაშვილმა, მბეჭდავ-მემანქანემ ა. შაველაშვილმა და სხვებმა.

საიუბილეო ვახტზეა საბჭოთა საქართველო

შეჯიგრეგის თაოსანთა ახალი წარმატეგა

ბიათურა. (საკ. კორ.). ალმაცლობით მუშაობენ რესპუბლიკაში საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების თაოსნები — ბიათურელი მაღაროელები. **ლენინის ორდენოსანმა ბიათურის მარგანეცის ტრესტის კოლექტივმა ორი კვირით ადრე შეასრულა რვა თვის დავალება,** პროდუქციის თვითღირებულების გაიაფებით 7 თვეში დაზოგი 220.000 მანეთი და სექტემბრის ანგარიშში ჩვენი სამშობლოს მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა ათეულ ათას ტონობით მაღალხარისხოვანი მარგანეცი.

საიუბილეო შეჯიბრებაში წინ მიდიან ყალინინის, ორჯონიკიძის, დიმიტროვის სახელობის, პერევისის მაღაროთა კოლექტივები.

მაღაროელებმა ზეგეგმითი მადანი თაგაინთ თანამოძმეთა — მეშახტეთა დღესასწაულს მიუძღვნეს.

ცხინვალური კონსერვი

ცხინვალი. (საკ. კორ.). ახალია ცხინვალის საკონსერვო ქარხანა. სულ ორიოდე წელია, რაც დაბვირთვით მუშაობს. მაგრამ მისმა პროდუქციამ უკვე სახელი მოიხვეჭა. კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან განუწყვეტლივ მოდის ატამი, ქლიავი, ტყემალი და სხვა კურკოვანი ხილი. ქარხანა ამზადებს კონსერვებს, კომპოტებს, ჯემს...

სისტემატურად იტვირთება ვაგონები ცხინვალური კონსერვით. ჩელიაბინსკის, როსტოვის, ომსკისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მშრომელებმა უკვე მიიღეს ცხინვალში დამზადებული ხილის კონსერვები.

ანევმატური ბეტონჩამწყობები შახტმშენებლებს

კაპიტალურ გამონამუშევართა დაბეტონება ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი პროცესია ქვანახშირის შახტების გაყვანისას. ამ ბოლო დრომდე ასეთი სამუშაოები (ხის შეფიცვრის დაყენება და ბეტონის ჩაწყობა) საქართველოში ხელით სრულდებოდა. ამ პირობებში დაბეტონების სიჩქარე თვეში 30 გრძივ მეტრს არ აღემატება.

„საქმასტმშენის“ № 7 ტრესტის წინადადებით ტრესტ „საქორგტექმშენის“ სამთო განყოფილება შეუდგა წარმოებაში ჰორიზონტალური სამთო გამონამუშევრების მექანიზებული დაბეტონების დანერგვას, რისთვისაც იყენებს დონეცკის ქვანახშირის ინსტიტუტის კონსტრუქციის პნევმატურბეტონჩამწყობებს ლითონის საგდულიდან გადასაადგილებელ შეფიცვრასთან კოპლექსში.

ახალი ტექნოლოგია გამოყენებულ იქნება პირველ რიგში ტყიბულის ქვანახშირის აუზში. მაზ სამთო გამონამუშევრების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადები 3-4-ჯერ შემცირდება, მნიშვნელოვნად შემცირდება 1 გრძივი მეტრიგზა გამონამუშევრის თვითღირებულება.

ტრესტ „საქორგტექმშენის“ მუშაკები ჯალდებულებას კისრულობენ ეს სამუშაო დაამავრონ საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავის თუბილესათვის.

ა. გერშტენგლიტი.

ზეზეგმითი ნაყოფიერებით

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთელ ბრიგადირ ოქრო ბერიძეს ბრიგადა ბოლო ოთხ დღეში ბაზაზე ჩაბარებულ ბოსტნეულ-ხილეულ ნედლეულ

დაუცხრომლად ვეუფლებოდეთ მარქსიზმ-ლენინიზმს

ჩვენი ქვეყანა ნახევარი საუკუნის იუბილეს ეგებება თავისი ძალების აყვავების ხანაში, სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე შესანიშნავ გამარჯვებათა ვითარებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“ შემოქმედებითად განზოგადებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის გიგანტური გამოცდილება რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში, ნაჩვენებია ოქტომბრის იდეების ულრმესი ზემოქმედება მსოფლიო რევოლუციის მსვლელობაზე, განსაზღვრულია კომუნისტური მშენებლობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე.

განვლილ გზას თვალი რომ ვავლებთ, ჩვენ კანონიერი სიამაყით აღვნიშნავთ პარტიის ურყევ ერთგულებას მარქსიზმ-ლენინიზმისადმი, მის შეურიგებელ ბრძოლას რევოლუციური მოძღვრების მტრებთან. პარტია განუხრელად ასრულებს ვ. ი. ლენინის ანდერძს: „...მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“. საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავი მეცნიერული სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის უდიდესი ტრიუმფია.

კომუნისტურ მშენებლობაში უდიდეს როლს ასრულებს სკკპ თეორიული საქმიანობა, მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა, პარტიული ორგანიზაციების მთელი მუშაობა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. რევოლუციური თეორია სამყაროს მეცნობისა და რევოლუციური გარდაქმნის მძლავრი იარაღია, იგი გზას უკაფავს პრაქტიკას, უზრუნველყოფს მეცნიერულ მიდგომას პარტიის პოლიტიკის განსაზღვრისადმი, საზოგადოების ხელმძღვანელობას.

ყველა მშრომელთა აღზრდა მაღალი კომუნისტური შეგნებულობის სულისკვეთებით კომუნიზმზე გადასვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა. უაძისოდ წარმოუდგენელია მასების ენერგიის, მათი რევოლუციური შემოქმედებისა და აქტივობის თვისებრივად ახალი აღმავლობა. კომუნისტური შეგნება გულისხმობს ადამიანის მაღალი იდეურობის, სულიერი სიმდიდრისა და მორალური სისპეტაკის შეხამებას. იგი შეიცავს ისეთ თვისებებს, როგორიც არის მარქსისტული განათლება, თანმიმდევრულობა და პრინციპულობა პარტიის ხაზის გატარებაში, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, კომუნისტური მორალი და ზნეობა.

ეს თვისებები, ცხადია, თავისთავად არ მოდის. მათ ამკვიდრებს მთელი ჩვენი ცხოვრება, პარტიის მუდმივი და ბეჯითი იდეურ-პოლიტიკური მუშაობა. პარტიული პროპაგანდა მილიონობით საბჭოთა ადამიანის მეცნიერული მსოფლმხედველობის, იდეური რწმენის ჩამოყალიბების მძლავრი საშუალებაა, იგი ხელს უწყობს მასებთან პარტიის კავშირის შემდგომ განმტკიცებას, კომუნიზმისათვის ბრძოლაში ხალხის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას.

იდეოლოგიური მუშაობის იდეური საფუძველია მარქსისტულ-ლენინური თეორია, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ყოველმხრივ ანალიზს ვუკეთებდეთ და თეორიულად განვაზოგადებდეთ კომუნისტური მშენებლობის პროცესებსა და თანამედროვე მსოფლიოს მოვლენებს. პროპაგანდისტული მუშაობა პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, იგი განსაზღვრავს მათი საქმიანობის იდეურ დონეს. ჩვენი პარტია განუწყვეტლივ სრულყოფს პროპაგანდისტული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, უხამებს მათ კომუნისტური მშენებლობის მომწიფებულ მოთხოვნებს, მის ამოცანებს.

I.

პარტიის XXIII ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების საარსებო ამოცანად დასახა სერიოზულად გააუმჯობესონ პარტიის წევრთა მარქსისტულ-ლენინური განათლება, მათი იდეური წრთობა. განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნები წარედგინება ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკურ მომზადებას. საკითხი ისე დგას, რომ თვითეული ხელმძღვანელი, უწინარეს ყოვლისა, თვითონ უნდა ზრუნავდეს თეორიული მომზადების ამაღლებისათვის, ეუფლებოდეს მეცნიერული ხელმძღვანელობის ლენინურ ხელოვნებას. თანამედროვე პირობებში მარქსისტულ-ლენინური თეორიის მტკიცე ცოდნის უქონლად წარმატებით ვერ უხელმძღვანელებ მუშაობის ვერც ერთ უბანს. ასე გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი. ასე გვასწავლის პარტია.

ეს მოთხოვნა კვლავ დიდი ძალით არის გამოთქმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამს წინათ მიღებულ დადგენილებაში „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების ღონისძიებათა შესახებ“.

პარტია ეყრდნობა იმას, ნათქვამია ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება აუცილებელია ყველა კომუნისტისათვის, სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმიანობის ყოველი დარგის მუშაკებისათვის. პარტიული ორგანიზაციები უნდა ახორციელებდნენ უფრო ქმედითს კონტროლს კომუნისტების პოლიტიკური სწავლებისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების, სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესწავლისადმი.

პარტიული სწავლება საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თვითეულ ეტაპზე შეესაბამებოდა დროის საარსებო მოთხოვნილებებს. პარტიის წევრებისა და კანდიდატების, ფართო აქტივის პოლიტიკური მომზადების საფუძველი დღეს პირველ რიგში კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის დაუფლებაა.

პარტიული პროპაგანდის აღმზრდელობითი როლი, ქმედითობა მით უფრო მაღალია, რაც უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული ხალხის შემოქმედებასთან, მის ცხოვრებასთან, ახალი საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკასთან. ახლანდელ პირობებში მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების საშუალებები და მეთოდები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება.

პარტიული სწავლების ახალი სისტემის მუშაობის ორი წელი ცხადყოფს მის სიცოცხლისუნარიანობასა და აუცილებლობას. იგი შესაძლებლობას გვაძლევს მოვაწყოთ კომუნისტების სისტემატური მარქსისტულ-ლენინური სწავლება, მივაღწიოთ თანამიმდევნობასა და თანმიმდევრულობას თეორიის პრობლემების ათვისებაში კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო ერთიანობით. ყველგან განხორციელებულია სერიოზული მობრუნება მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც ერთი მთლიანობის, მისი შემადგენელი ნაწილების შესწავლისაკენ, გაიზარდა ინტერესი რევოლუციური თეორიისადმი, ამაღლდა პოლიტიკური განათლების იდეურ-თეორიული და მეცნიერული დონე.

ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად უფრო სრულყოფილი გახდა სასწავლო-მეთოდური ბაზა, შემუშავებულია ყველა სახეობის სწავლების პროგრამები. მიღებულია დებულება მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების შესახებ. შექმნილია პოპულარული სახელმძღვანელოები პოლიტიკური ცოდნის საფუძვლებში, პარტიის ისტორიაში, მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში. ახალი სასწავლო წლისათვის ეს სახელმძღვანელოები მეორე გამოცემად გამოდის. ლენინგრადელ მეცნიერთა ჯგუფმა მოამზადა პოლიტიკური ეკონომიის ახალი პოპულარული სახელმძღვანელო. გამოცემულია მეთოდური დამხმარე წიგნები პარტიული განათლების დაწყებითი და საშუალო რგოლის ძირითადი სასწავლო კურსებისათვის. პირველად გამოდის სასწავლო ლიტერატურა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებისა და პარტიული აქტივის სკოლებისათვის.

გასულ სასწავლო წელს 13,5 მილიონზე მეტი კომუნისტი და უპარტიო აქტივი იმაღლებდა ცოდნას პარტიული განათლების სისტემაში. პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობდა 250 ათასამდე დაწყებითი პოლიტსკოლა, 130 ათასზე მეტი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლა, პარტიული აქტივის 1.700, რაიონული და საქალაქო სკოლა და 326 მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტი. კომუნისტების დიდი არმია დამოუკიდებლად სწავლობდა რევოლუციურ თეორიას. ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ახლანდელი სისტემა შეესაბამება თვის მთავარ ამოცანას — პარტიის წევრთა და კანდიდატთა თეორიულ მომზადებასა და იდეურ წრთობას.

საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის მზადებამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების ფართო პროპაგანდამ იდეურად გაამდიდრა პოლიტიკური სწავლების შინაარსი. იდეური დონის ამაღლებას და პოლიტიკური მეცადინეობისადმი ინტერესს განვითარებას ხელი შეუწყო მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკეულ ნაწარმოებებსა და პარტიულ დოკუმენტებზე მსმენელების მიერ რეფერატების მომზადებამ, პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისა და საწარმოთა, კოლმეურნეობათა და დაწესებულებათა საწარმოო საქმიანობის ანალიზის დარგში პრაქტიკულ დავალებათა შესრულებამ, მიმდინარე მოვლენებსა და საერთაშორისო მდგომარეობაზე ფართო ინფორმაციამ. სწავლებისათვის კომუნისტთა პასუხისმგებლობის ზრდას ხელი შეუწყო ჩათვლათა ჩატარებამ. წარსულ წლებზე უკეთ ეწყობა აქტივის სწავლება. ამჟამად ორასი ათასზე მეტი პარტიული აქტივისტი სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ განათლებას, ბეჯითად და თანმიმდევრულად ვახორციელებდეთ კადრების იდეურ-თეორიული მომზადების კურსს.

დიდი მუშაობა გასწიეს დაწყებითმა პოლიტსკოლებმა. გასულ სასწავლო წელს მათში პროგრამის შესწავლა დაამთავრა 3 მილიონ 195 ათასმა კაცმა. მსმენელებმა ორ წელიწადში, როგორც წესი, სერიოზული პოლიტიკური ცოდნა მიიღეს, და ეს შესაძლებლობას აძლევს მათ შეუდგნენ სწავლას პარტიული განათლების მომდევნო რგოლში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში. იმ ამხანაგებს კი, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით ვერ შეძლეს მიეღოთ მტკიცე ცოდნა დაწყებითი რგოლის მოცულობით, მიზანშეწონილია კიდევ ერთი წლით გავუგრძელოთ პოლიტსკოლებში სწავლების ვადა. გასაგებია, რომ ეს წელი უნდა მიეძღვნას პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების კურსის ყველაზე ძნელი განყოფილებების, პარტიული დოკუმენტების უფრო ღრმად შესწავლასა და გააზრებას.

მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლები ფართოდ გავრცელდა და პარტიული განათლების საშუალო რგოლის ძირითადი ფორმა გახდა. ისინი კარგ შესაძლებლობებს ქმნიან იმისათვის, რომ, კომუნისტებმა მიიღონ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების მტკიცე ცოდნა, მასებში პოლიტიკური მუშაობის ჩვეული. ახალ სასწავლო წელს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების სკოლებში მოვლენ დაწყებითი პოლიტსკოლების გამოშვებულნი. აქ სწავლება მათთვის პარტიის ისტორიის შესწავლით იწყება... ამ ხნის განმავლობაში მსმენელნი შეიძენენ დამოუკიდებელი მუშაობის საჭირო ჩვევებს და უკეთ მოემზადებიან მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და პოლიტიკური ეკონომიის ათვისებისათვის.

პარტიული სწავლების უმაღლესი რგოლი განხორციელდა როგორც კოლექტიური (მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები, პარტიული სკოლები, სემინარები), ისე ინდივიდუალური ფორმების ფართო მრავალფეროვნებით. საკვირაო, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტები პროპაგანდისტების, პარტიულ-სამეურნეო კადრების კვალიფიციური სწავლების ნამდვილი ლენინური აკადემია გახდნენ. შემოქმედებითი გასაუბრებანი, რეფერატების მომზადება და განხილვა, დისპუტები უნდა ახასიათებდეს თეორიული სემინარების საქმიანობას.

პარტიული განათლების თვითეული რგოლის პროგრამის შესწავლა უნდა მიმდინარეობდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებთან **ორგანულ** კავშირში. უეჭველია, რომ ეს შესაძლებლობას მოგვცემს უფრო მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ავიყვანოთ სკკპ ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტეკონომიის, მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლების შესწავლა.

პარტიული ორგანიზაციების სერიოზული ზრუნვის საგანი უნდა იყოს კომუნისტების პასუხისმგებლობის ამაღლება თავიანთი პოლიტიკური განათლებისათვის, კომუნისტების ყოველდღიური, სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებზე, პოლიტიკურ ლიტერატურაზე, პარტიის დოკუმენტებზე. საჭიროა ვუნერგავდეთ პარტიის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს იმის ნათელ გაგებას, რომ პარტიული სწავლება იოლი საქმე როდია, რომ იგი გარკვეულ დაძაბვას მოითხოვს.

პარტიული სწავლების იდეური დონისა და ეფექტურობის შემდგომი ამაღლება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია პროპაგანდისტთა კადრებზე. მოსაწონია პარტიული სწავლების სისტემის სხვადასხვა რგოლისათვის პროპაგანდისტთა მომზადების პერსპექტიული დაგეგმვის პრაქტიკა, მათი სპეციალიზაცია. კადრების მომზადებაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების პროპაგანდისტულმა ფაკულტეტებმა, უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებთან არსებულმა კურსებმა, აგრეთვე მეთოდური ოსტატობის სკოლებმა. საინტერესოა ლატვიის, ესტონეთის რესპუბლიკების, ზღვისპირეთისა და სტავროპოლის მხარეების, კალუგის, ხარკოვის, დნეპროპეტროვსკისა და მთელი რიგი სხვა ოლქების მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტების გამოცდილება. მათ მოაწყეს სოფელ ადგილებისათვის პროპაგანდისტთა მოსამზადებელი დაუსწრებელი განყოფილებანი. სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს პროპაგანდისტების მომზადებაში შეიძლება სერიოზული დახმარება გაეწიოთ პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან არსებული დაუსწრებელი კურსების მეშვეობით.

დიდ ყურადღებას მოითხოვს პროპაგანდისტთა მუდმივ მოქმედი სემინარები. ისინი მოწოდებული არიან იყონ აქტუალური თეორიული და მეთოდური პრობლემების კოლექტიური განხილვის, მუშაობის გამოცდილების **ურთიერთგაზიარების** ადგილი, დარწმუნების ხელოვნებისა და მსმენელებში კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების სკოლები. წესი უნდა გახდეს პროპაგანდისტებისათვის ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკების გამოსვლები პროპაგანდისტების წინაშე.

II.

პარტიული სწავლება პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლია. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ პარტია ძლიერია თავისი კავშირით მასებთან. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური წოთობის საზომია მათი აქტიური პოლიტიკური მოქმედება, იმის უნარი, რომ მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდნენ პარტიის ხაზს, იცავდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდეს, საბჭოთა ხალხის მაღალ იდეალებს, გადამწყვეტ წინაღმდეგობას უწევდნენ მტრულ შეხედულებებსა და გამოვლინებებს.

კომუნისტის მოვალეობაა ეწეოდეს იდეოლოგიურ მუშაობას მასებში, დაუცხრომლად უწევდეს პროპაგანდას მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებს, ხელს უწყობდეს ყველა მშრომელისათვის კომუნისტური შეგნებულობის ჩაბერვას. XXIII ყრილობამ განსაკუთრებული ძალით გაუსვა ხაზი იმას, რომ კომუნისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებანი ბევრ რამეში დამოკიდებულია მშრომელთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაჯანსაღებასა და დონეზე. ამ მუშაობის ორგანიზებისას უფრამ მხედველობაში უნდა გვქონდეს მასობრივი პოლიტიკური პროპაგანდის, პოლიტინფორმაციისა და აგიტაციის თავისებურებანი და სეციფიკა.

მასებში პარტიის იდეოლოგიური მუშაობის განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უნარი შეგვწევდეს მხედველობიდან არ ვუშვებდეთ მთავარ პრობლემებს, განვსაზღვრავ დ ე თ გადამწყვეტ მიმართულებებს და აქ თავს ვუყრიდეთ ყველაზე კვალიფიციურ ძალებს.

ახალგაზრდობის აღსაზრდელად წარმოებულ მუშაობაში პირველ პლანზე უნდა იყოს ახალგაზრდა თაობის მარქსისტულ-ლენინური მომზადება, ის, რომ ჩავუნერგოთ მას კლასობრივი მიდგომა ცხოვრების მოვლენებისადმი, კომუნისტური რწმენა, იმისათვის მზადყოფნა, რომ დაიცვას ოქტომბრის მონაპოვარნი, ჩვენი სოციალისტური სამშობლო. აღზრდა უნდა წარმოებდეს საბჭოთა ხალხის რევოლუციური, პატრიოტული და შრომითი ტრადიციებით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, შემტევობის, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების განუყრელი კავშირის სულისკვეთებით.

განვლილ სასწავლო წელს კომკავშირული პოლიტიკური განათლების სისტემაში 10 მილიონამდე კაცი სწავლობდა. მილიონნახევარზე მეტი კომკავშირელი მეცადინეობდა კომუნისტებთან ერთად. ახალგაზრდობის იდეური აღზრდის დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა მისი მიზიდვა უწინარეს ყოვლისა საღამოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. დაუსწრებელ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ გასულ წელს 6 მილიონზე მეტი ჭაღიშვილი და ჭაბუკი სკოლებში, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობდა. ახალგაზრდობის ამ მისწრაფებას ყოველი ღონისძიებით უნდა შევუწყოთ ხელი ახალ სასწავლო წელსაც.

პარტიას მასობრივი პროპაგანდის უმდიდრესი გამოცდილება აქვს. ამ პროპაგანდის მრავალფეროვნება და მოქნილობა შესაძლებლობას გვაძლევს უფრო სრულად მივიღოთ მხედველობაში მშრომელთა განათლების, ასაკობრივი, ეროვნული და სხვა თავისებურებანი, დიფერენცირებულად ვეწეოდეთ პოლიტიკურ მუშაობას. მასობრივი პოლიტიკური პროპაგანდის პირველი რიგის ამოცანაა თვითეულ საბჭოთა ადამიანს შეაგნებინოს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების სიდიადე. ჩვენი საზოგადოების მშრომელთათვის სოციალიზმსა და კომუნიზმზე მეცნიერულ წარმოდგენათა ჩამოყალიბებით პარტია ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ მაღალი იდეურობის, პარტიულობის, პრინციპულობის, რევოლუციურობის, აქტიური შემოქმედების სულისკვეთებით იყოს გამსჭვალული საბჭოთა ადამიანების თვითეული ნაბიჯი.

მასობრივი პოლიტიკური პროპაგანდა მოწოდებულია ულმობლად ამხილებდეს იმპერიალიზმის იდეოლოგიურ პოზიციებს, აქტიურად და მამაცურად უწევდეს წინააღმდეგობას ბურჟუაზიულ პროპაგანდას, ზრდიდეს ადამიანებს საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებისა და განვითარების სულისკვეთებით, ეწეოდეს შეტევითს ბრძოლას ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა მასობრივი პროპაგანდის შინაარსი და ფორმები. სახალხო უნივერსიტეტებში, კომუნისტური შრომის სკოლებში, ლექტორიუმებსა და სწავლების სხვა ფორმებში გასულ წელს 11 მილიონზე მეტი კაცი მეცადინეობდა.

ახალ სასწავლო წელს მნიშვნელოვნად უნდა გაფართოვდეს მასობრივი პროპაგანდის ფორმები. დღის წესრიგში დგება საკითხი, რომ შემუშავებულ იქნას მასობრივი პოლიტიკური პროპაგანდის მეცნიერულად დასაბუთებული, ყოვლისმომცველი სისტემა, ჩვენი ქვეყნის კულტურული ფრონტის მთელი ძალები ჩაბმულ იქნან იდეოლოგიური მუშაობის ამ უმნიშვნელოვანეს უბანში, აქეთკენ წარიმართოს ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციისა და მშრომელთა საზოგადოებების ღონისძიებანი. აქ საქმიანობის უდიდესი ასპარეზი აქვთ კომკავშირს, პროფკავშირებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის ორგანიზაციებს, საზოგადოება „ცოდნას“, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. საჭიროა განვავითაროთ პროპაგანდის ყველაზე ქმედითი და ეფექტური ფორმები, გავაფართოოთ სახალხო უნივერსიტეტების, კომუნისტური შრომის სკოლების, შუდმივმოქმედი ლექტორიუმების ქსელი.

დიდი თვისებრივი ცვლილებანი ხდება პარტიული ორგანიზაციების მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. ამ ცვლილებებს საფუძვლად უდევს სკკპ XXIII ყრილობის მითითებანი იმის შესახებ, რომ მთელი პოლიტიკური აგიტაცია ავაგოთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული ცხოვრების და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ მოსახლეობისათვის ფართოდ და სისტემატურად დაყენებული ინფორმაციის ბაზაზე.

მთავარია ის, რომ პოლიტიკური აგიტაცია ავიყვანოთ პროპაგანდისტული მუშაობის დონემდე, ჩავაბათ მასში ყველაზე კვალიფიციური ძალები, განსაკუთრებით ხელმძღვანელი კადრები, უკრაინის, ბელორუსიის მთელი რიგი ოლქების, მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის, ვორონეჟის, პერმისა და სხვა ოლქების პარტიული ორგანიზაციები ქმნიან პოლიტინფორმატორების ჯგუფებს საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ფართოდ შედის პრაქტიკაში პოლიტინფორმატორების რეგულარული სემინარები, მათი შეხვედრები ხელმძღვანელ მუშაკებთან.

პოლიტიკური ინფორმატორები ახალი კატეგორიაა იდეოლოგიური მუშაკებისა, რომლებიც მშრომელთა წინაშე ოპერატიულად გამოდიან კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე.

პოლიტინფორმატორთა ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, როდი ამცირებს მასობრივი პოლიტიკური აგიტაციის როლს. ახლა პარტიული აგიტატორი იღებს საქმიანობის უფრო კონკრეტულ დარგს — ადამიანებთან ინდივიდუალურ მუშაობას.

III.

ახალი, უფრო რთული ამოცანების გადაწყვეტა პროპაგანდისტული მუშაობის ახალ, უფრო სრულყოფილ საშუალებებსაც მოითხოვს. ამოცანა ის არის, რომ ყველა პარტიული ორგანიზაცია, იდეოლოგიური ფრონტის ყველა რაზმი შევაიარაღოთ პროპაგანდის უახლესი მეთოდებითა და საშუალებებით, გავაძლიეროთ ნოელი იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ქმედითობა და ეფექტურობა.

ამ საქმეში პირველხარისხოვანი როლი ენიჭება ჩვენს პრესას, საგამომცემლო საქმეს. გაზეთები და ჟურნალები, გამომცემლობები, წიგნის საქმე დაყენებულ უნდა იქნან თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნათა დონეზე.

საბჭოთა პრესა, რომელიც პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის მძლავრი იარაღია, მოვალეა ყურადღებით აკვირდებოდეს, სწავლობდეს და ამეტყველებდეს საბჭოთა ხალხის გმირულ შრომასა და მის დიად საქმეებს, აქტიურად აყალიბებდეს ცხოვრების კომუნისტურ წესს. პრესა ახლა უფრო ღრმად სწვდება მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებისა მეთოდოლოგიას, უფრო მეტს მუშაობს საბჭოთა ადამიანების პოლიტიკურ განათლებაზე. ახლა ბევრი გამოდის საინტერესო, შინაარსიანი, იდეურად მდიდარი და კარგად გაფორმებული წიგნი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრისადმი, ლენინისადმი, პარტიისადმი, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ხალხის გმირული ბრძოლისადმი. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მწვავედ იგრძნობა საჭიროება ღრმა და შინაარსიანი გამოკვლევებისა, რომლებიც გააშუქებენ სოციალისტური მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ეტაპების მსვლელობასა და კანონზომიერებებს. პროპაგანდისტულ ბიბლიოთეკებში, ...

დიადი ქმნილება



უკვე ასი წელი სრულდება მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის გამოსვლიდან. მაგრამ ამ უკვდავი ქმნილების იდეები დღესაც ცხოველმყოფელნი არიან და ეუფლებიან უველა კონტინენტის მილიონობით ადამიანის გონებასა და გულს. ეს იდეები ჩვენი თანამედროვეობის იდეებია.

გერმანელ ენაზე 1867 წლის 14 სექტემბერს გამოვიდა „კაპიტალის“ პირველი ტომი. იგი წიგნების პამბურგელმა გამომცემელმა ოტო მეისნერმა სულ ათასი ეგზემპლარის რაოდენობით გამოსცა. ახლა კი „კაპიტალი“ მსოფლიოს მრავალ ათეულ ენაზეა თარგმნილი და მილიონიანი ტირაჟებით გამოდის. უცხო ენებიდან პირველად იგი რუსულ ენაზე თარგმნა ნ. დანიელსონმა და 1872 წლის აპრილში გამოსცა წიგნების პეტერბურგელმა გამომცემელმა პოლიაკოვმა.

„კაპიტალის“ რუსულ ენაზე თარგმნის შესახებ კ. მარქსი თავის მეგობარ კუგელმანს სწერდა, რომ „პირველი უცხო ერი, რომელმაც „კაპიტალი“ გადათარგმნა, რუსების ერია“. ცხადია, მაშინ კ. მარქსს არ შეეძლო სცოდნოდა, რომ რუსეთი იქნებოდა არა მარტო ის პირველი ქვეყანა, რომელმაც თავის ენაზე თარგმნა „კაპიტალი“, არამედ ის პირველი ქვეყანაც, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით პრაქტიკულად განახორციელებდა კ. მარქსის დიდებულ მოძღვრებას.

კ. მარქსის „კაპიტალის“ პირველი ტომის გამოსვლას ბურჟუაზიული პრესა „დუმილის შეთქმულებით“ შეხვდა. ეს დუმილი ფ. ენგელსმა დაარღვია — „კაპიტალის“ შესახებ მრავალი რეცენზია გამოაქვეყნა. ერთ მათგანში იგი წერდა: მას შემდეგ, რაც დედამიწაზე არსებობენ კაპიტალისტები და მუშები, ჯერ არ გამოსულა არც ერთი წიგნი, რომელსაც ასეთი მნიშვნელობა ჰქონოდა მუშათა კლასისათვისო.

მაგრამ როცა ბურჟუაზიის იდეოლოგებს აღარ შეეძლოთ „დუმილის შეთქმულების“ გაგრძელება, ისინი დაადგნენ „კაპიტალის“ კრიტიკის, მისი უარყოფის, მასში „წინააღმდეგობის აღმოჩენის“ გზას. ბურჟუაზიის ამ იდეოლოგებს მცირე სამსახური როდი გაუწევს მარქსიზმის სხვადასხვა ჯურის „კეთილისმყოფელებმა“ — ოპორტუნისტებმა, რევიზიონისტებმა და სხვ. მათი ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ ჩამოეცილებინათ მშრომელი მასები „კაპიტალის“ შესწავლისაგან.

მაგრამ „კაპიტალის“ იდეებმა უბადლო გამარჯვება მოიპოვეს. კ. მარქსის „კაპიტალი“ იყო და დარჩა მუშათა კლასის მძლავრ იარაღად მის დაძაბულ და შეუპოვარ ბრძოლაში სოციალიზმისათვის. კაპიტალისტური მონობის წინააღმდეგ.

„კაპიტალი“ პირველ რიგში კაპიტალიზმის წარმოშობის, განვითარებისა და გარდუვალი დაღუპვის კანონზომიერებათა ღრმა მეცნიერული ანალიზისადმია მიძღვნილი. „კაპიტალის“ შემოქმედმა გვიჩვენა, ბურჟუაზიისა და მასთან ერთად მისი მესაფლავის — პროლეტარიატის წარმოშობის პროცესი და დაასაბუთა, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია არსებობა და ბატონობა უპროლეტარიატოდ, ხოლო პროლეტარიატი სწორედ მაშინ იწყებს თავის ნამდვილ ცხოვრებას და დიდ შემოქმედებას, როცა სპობს ბურჟუაზიას.

„კაპიტალი“ საერთოდ მეცნიერებისა, და, კერძოდ, პოლიტიკური ეკონომიის პარტიულობის შესანიშნავი ნიმუშიც არის. შემთხვევითი როდია, რომ მარქსმა მას ქვესათაურად „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა“ მისცა. მისი წინამორბედი ბურჟუაზიული და ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის გამანადგურებელ კრიტიკასთან ერთად მარქსმა პროლეტარიატის ღრმად მეცნიერული და რევოლუციური პოლიტიკური ეკონომიაც შექმნა. ეს იყო უდიდესი რევოლუციური გადატრიალება მთელ წინადროინდელ ეკონომიურ მეცნიერებაში. „ყოველივე ის, — წერდა ვ. ი. ლენინი, კ. მარქსის შესახებ — რაც კი შეუქმნია ადამიანის გონებას, მან გადაამუშავა, კრიტიკის ქარცეცლში გაატარა, მუშათა მოძრაობით შეამოწმა და გამოიტანა ის დასკვნები, რომელთა გამოტანაც არ შეეძლოთ ბურჟუაზიული ჩარჩოებით შეზღუდულ თუ ბურჟუაზიული ცრურწმენებით შებოჭილ ადამიანებს.

„კაპიტალის“ შექმნაში მრავალი წლის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა მარქსის დიდი მეგობარი ფ. ენგელსი. იგი სისტემატურად უწევდა კ. მარქს მეცნიერულ, მორალურ და მატერიალურ დახმარებას. მათი დიდი მიწერ-მოწერა ნათლად მოწმობს, რომ მარქსი გამუდმებით უზიარებდა ენგელსს საკუთარი მუშაობის გეგმებს. ამ წერილების პასუხად ფ. ენგელსი უგზავნიდა მარქსს თავის შენიშვნებს, რჩევასა და მოსაზრებებს, რომლებსაც მარქსი დიდი უყურადღებით ეპყრობოდა და ითვალისწინებდა. „კაპიტალის“ პირველი ტომის უკანასკნელი თაბახის კორექტურა რომ დაამთავრა, კ. მარქსი 1867 წლის 16 აგვისტოს, ღამის 2 საათზე სწერდა თავის ერთგულ მეგობარს ფ. ენგელსს:

ძვირფასო ფრედ!

...ამრიგად ეს ტომი მზად არის. მხოლოდ შენ უნდა გიმადლოდე, რომ ეს შესაძლებელი გახდა! ჩემთვის რომ შენ თავი არ დაგიდო, მე ვერასგზით ვერ შევძლებდი მთელი იმ უზარმაზარი სამუშაოს შესრულებას. რასაც ეს სამი ტომი მოითხოვდა. მადლობას გრძნობით აღსავსეს გიდგავეხვევი!

აკვე დართულია ორი სუფთა თაბახი.

თხუთმეტი გირვანქა სტერლინგი მივიღე. რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ.

სალამი, ჩემო ძვირფასო, ერთგულო მეგობარო!

შენი კ. მარქსი“.

კ. მარქსმა თავის სიცოცხლეშივე დაამთავრა და გამოსცა „კაპიტალის“ პირველი ტომი. მაგრამ რაც შეეხება მეორე და მესამე ტომებს, ისინი მარქსს ხელნაწერის სახით დარჩა. ფ. ენგელსმა, გადადო თავისი პირადი სამუშაოები და ილო შრომა გასწია „კაპიტალის“ ხელნაწერების მეორე და მესამე ტომის დასაბეჭდად მომზადებისა და გამოცემისათვის. ამიტომაც „კაპიტალის“ ამ ტომებს, ისევე როგორც „კომუნისტური პარტიის მანიფესტს“, სამართლიანად თვლიან მეცნიერული კომუნიზმის უფუძემდებლების კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომად. „მართლაც, — წერდა ვ. ი. ლენინი, — „კაპიტალის“ ეს ორი ტომი ორი ადამიანის — მარქსისა და ენგელსის ნაშრომია“.

„კაპიტალი“ თავისი უმდიდრესი ლექსიკონით, ლიტერატურული ენით და მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის ნათელი სახეების ოსტატურად გამოყენებით ჭეშმარიტად სწორედაა მეცნიერული თხზულებაა. იგი რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების მარად უშრეტი წყაროა. სწორედ ამ მონუმენტურ თხზულებაში მოგვცა მარქსმა ზედმეტი ღირებულების მოძღვრება, რომელიც, ვ. ი. ლენინის სიტყვებით, „მარქსის ეკონომიური თეორიის ქვაკუთხედია“. მარქსი მეცნიერულად ხსნის კაპიტალის მიერ შრომის ექსპლოატაციის მთელ მექანიზმს. არც ერთ სხვა საზოგადოებაში გარდა კაპიტალისტურისა, ადამიანის სამუშაო ძალა არა ყოფილა ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. მარქსმა „კაპიტალში“ გვიჩვენა, რომ სწორედ სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის ობიექტად, საქონლად გადაქცევა, განასხვავებს წარმოების კაპიტალისტურ წესს წარმოების უველა სხვა წესისაგან.

წარმოების კაპიტალისტური წესის ძირითადი და აბსოლუტური კანონი მარქსის მიერ აღმოჩენილი ზედმეტი ღირებულების კანონია. და, როგორც უნდა იცვლებოდეს კაპიტალისტური წარმოების ფორმები, სულ ერთია: იგი იყო და არის ზედმეტი ღირებულების წარმოება. „ზედმეტი ღირებულების აღმოჩენამ, — ამბობდა ფ. ენგელსი, — ამ საკითხებში ერთბაშად შეიტანა ნათელი, მაშინ როდესაც უველა წინანდელი მკვლევარი — ბურჟუაზიული ეკონომისტი იყო იგი თუ სოციალისტი — ბნელში დაეხეტებოდა“.

კაპიტალის დაგროვების პროცესის ანალიზს მარქსი თავისი ცნობილი წინასწარმეტყველური დასკვნით ამთავრებს: „წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევს იმ პუნქტს, სადაც ისინი ვეღარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში. ეს გარსი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ხდება ექსპლოატატორთა ექსპროპრიაციაო“. კაცობრობის ისტორიამ საგანგებით დაადასტურა „კაპიტალის“ პირველი ტომის ეს გენიალური წინასწარხედვა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად, კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელმა საათმა პირველად რუსეთში დარეკა, და მოხდა ექსპროპრიაციორთა ექსპროპრიაცია. „დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში, — ძირფესვიანად შეარყია კაპიტალიზმის სამყარო... დასაბამი მისცა კაცობრიობის განთავისუფლებას ექსპლოატატორული წყობილებისაგან, მეცნიერული კომუნიზმის იდეების განხორციელებას, უღრმესი ზემოქმედება მოახდინა მსოფლიო ისტორიის მთელ შემდგომ მსვლელობაზე. მან დაიწყო მსოფლიოს საყოველთაო რევოლუციური განახლების ეპოქა — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა“.

კ. მარქსმა „კაპიტალში“, კაპიტალიზმის გარდუვალ დაღუპვასთან ერთად წინასწარ განჭვრიტა მისი კოლონიური სისტემის რღვევაც, რაც სინამდვილედ იქცა ჩვენს ეპოქაში. დღეს „კაპიტალის“ და მისი მეთოდოლოგიის შესწავლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კაპიტალიზმის, არამედ სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის შესწავლისთვისაც.

მაგრამ „კაპიტალი“ მარტო გენიალური პოლიტიკურ-ეკონომიური გამოკვლევა როდია. იგი ამასთანავე უდიდესი ფილოსოფიური და ისტორიული ნაწარმოებიც არის. მასში ბრწყინვალედ არის გამოყენებული მისი ავტორის მატერიალისტური დიალექტიკა. „„კაპიტალის“ ლიტერატურული წარმოება, — დასძენდა მარქსი, — ბუნებრივი პროცესის აუცილებლობით წარმოშობს თავის საკუთარ უარყოფას, ეს უარყოფის უარყოფა. ეს — დიალექტიკის ერთ-ერთი ძირითადი ... „ფილოსოფიურ რეფლექსიებში“ წერდა: „თუ მარქსმა არ დატოვა „ლოგიკა“ (ანუ მთავარი), — სამაგიეროდ მან დატოვა „კაპიტალის ლოგიკა“...

მარქსი არა მარტო ხსნიდა თავის თანამედროვე მსოფლიოს, არამედ კიდევაც უჩვენებდა, თუ როგორ უნდა გარდაქმნილიყო იგი. ამუამად „კაპიტალის“ იდეები განსაბიერებულია მსოფლიო სოციალისტური სისტემის ხალხთა საქმეებში. დღეს ეს იდეები აღფრთოვანებენ კაპიტალის ქვეყნების მშრომელებს თავისუფლებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

კ. მარქსის „კაპიტალის“ იდეების საფუძველზე დაიწყო ვ. ი. ლენინმა თავისი თეორიული და რევოლუციური მოღვაწეობა. მან იმპერიალიზმის ეპოქის ახალ ისტორიულ პირობებში შემოქმედებითად განავითარა მარქსიზმის თეორია და აიყვანა იგი ახალ სიმაღლეზე. ამ იდეების საფუძველზე შექმნა ლენინმა იმპერიალიზმისა და სოციალისტური რევოლუციის გენიალური თეორია და ამით უდიდესი წვლილი შეიტანა მეცნიერულ კომუნიზმში.

კ. მარქსს ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: თეორია იქცევა მატერიალურ ძალად, როცა იგი მასებს დაეუფლება. ეს სიტყვები უწინარეს ყოვლისა ითქმის თვით „კაპიტალის“ იდეების, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შესახებ, რომელიც დიდი ხანია დაეუფლა ადამიანთა ასეული მილიონებს და იქცა უდიდეს მატერიალურ ძალად. ეს ის ძალაა, რომელმაც 50 წლის წინათ დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა კაპიტალიზმის დამბობისა და სოციალიზმის გამარჯვების ეპოქა.

დოც. ვ. გოგუაძე.

მიესალმებიან საბჭოთა ხალხს

კარაკასი, (საკდესი). „ლათინური ამერიკის კონტინენტზე — ბოლივარის სამშობლოში, სადაც ხალხები იბრძვიან ჩაგრული მასების ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, მივესალმებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს“ — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ვენესუელის მშრომელთა ერთიანი ცენტრის მდივანმა კრუს ვილიეგასმა. დიდი ოქტომბრის იუბილეს მოახლოებასთან დაკავშირებით ცენტრის ხელმძღვანელმა მუშათა დიდი ჯგუფის თანდასწრებით სთხოვა კორესპონდენტს სალამი გადაეცა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხებისათვის.

„მივესალმებთ, — თქვა მან,— შესანიშნავ წარმატებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მოიპოვა მარქსისტულ-ლენინური იდეების განხორციელებაში. წმიდათა წმიდა პატივს ვცემთ 1917 წლის უდრეკ ბოლშევიკებს, მათი მაგალითი აღგვაფრთოვანებს და გვასულდგმულებს. იგი გვასახავს სოციალიზმის გარდუვალი გამარჯვების რწმენას, რადგანაც ეს არის ჩვენი ეპოქის მთავარი აზრი“. (საკდესი).

დემოკრატიული ვიეტნამი ემზადება

ჰანოი. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის დღესასწაულისათვის.. ჰანოიში გაიმართა დღესასწაულის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა პრაქტიკულად და აღმზრდელობითი მუშაობა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთელ მოსახლეობასთან მარქსიზმ-ლენინიზმის, ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილების შესწავლისათვის და საბჭოთა კავშირთან და სხვა მომძმე სოციალისტურ ქვეყნებთან. კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან შეკავშირების განმტკიცებისათვის. თათბირზე განიხილეს აგრეთვე დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის პარტიის წევრების, არმიის მეომრებისა და მთელი მოსახლეობის საწარმოო, საბრძოლო შეჯიბრების გაშლის საკითხი. (საკდესი).

ჯილდოები — ბოჭინავეებს

ვარშავა. პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელებთან შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა მოსავლის დღესასწაულის წინ, სახალხო პოლონეთის სოფლის მეურნეობის ასამდე მოჯინავემ მიიღო მთავრობის ჯილდოები.

დაჯილდოებულთ გულითადად მიესალმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა. (საკდესი).

მოსავლის დღესასწაული

ვარშავა. სახალხო პოლონეთის მშრომელები აღნიშნავენ მოსავლის დღესასწაულს. საღღესასწაულოდ მორთულ ვარშავაში პოლონეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდა 50 ათასზე მეტი მინდვრის მშრომელი. 100 ათასი კაცი, რომლებიც 3 სექტემბერს შეიკრიბნენ 10 წლასთავის სახელობის სტადიონზე, გულთბილად მიესალმა საპატიო სტუმრებს — პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

მინდვრის მშრომელებს სიტყვით მიმართა ამხანაგმა ვლადისლავ გომულკამ. მან განაცხადა, რომ წელს მოიწიეს ზეთოვანი კულტურების კარგი მოსავალი და მარცვლეული კულტურების საკმაოდ კარგი მოსავალი. ამის შედეგად მემცენარეობის მიმდინარე წელს დამაკმაყოფილებელი შედეგები აქვს, თუმცა მთელმა რიგმა რაიონებმა ზარალი განიცადეს. ვ. გომულკამ აღნიშნა აგრეთვე წარმატებანი მეცხოველეობის დარგში. მიმდინარე წელს პირუტყვის სულადობა 3,6 პროცენტით გაიზარდა. შარშანდლის დონეზეა შენარჩუნებული ღორების სულადობა, რაც შეესაბამება დასახულ გეგმას.

შემდეგ ვ. გომულკამ განაცხადა, რომ მარცვლეულისა და სათბობის წარმოება ნელა იზრდება. ამის გამო სახალხო მეურნეობაში დიდია მარცვლის იმპორტის წილი.

ორატორმა მინდვრის მშრომელებს მოუწოდა მთელი ძალ-ონენი მოახმაროონ ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას და შემდეგ შეეხო დახმარებას, რომელსაც სახელმწიფო უწევს სოფლის მეურნეობას, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის საკითხებს.

მიტინგის შემდეგ სტადიონის მოედანზე გაიმართა გლეხთა თვითმმართველობის კოლექტივებისა და ინსამბლების დიდი კონცერტი. (საკდესი).



ავღანეთი. ნაგლუს ხეობაში, მდინარე ქაბულზე, მწყობრში ჩადგა ავღანეთში უველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით აშენდა. მთებს შუა აგებულია ას მეტრზე მეტი სიმაღლის კაშხალი. მშენებლობაზე მუშაობდა ექვსი ათასზე მეტი ავღანელი მუშა. ბევრმა მათგანმა ისწავლა თანამედროვე სამშენებლო მანქანების მართვა და კვალიფიციური სპეციალისტი გახდა.

სურათზე: ნაგლუს ჰიდროელექტრო ს ადგური.

ფოტო ვ. სობოლევისა. (საკდესის ფოტოკორესპონდენტი).

გაიხსნა ლაიფციგის ბაზრობა

ლაიფციგი, 4 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო ეკონომიურ საკითხთა მინისტრი ჰ. ზელი გამოვიდა ბაზრობის სხდომაზე და გახსნა ლაიფციგის საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობა.

სხდომას დაესწრნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საზღვარგარეთელი სტუმრები, მათ შორის საბჭოთა დელეგაცია სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის ა. ი. სტრუევის მეთაურობით.

გამოფენის გახსნისას დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო საბჭოთა ექსპოზიციამ. იგი დაათვალიერეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა. სტუმრებს გულთბილად მიესალმა საბჭოთა ექსპოზიციის დირექტორი ვ. პ. ზაპოროჟეცი.

დათვალიერების შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შტოფმა განაცხადა: „ჩვენ გვინდა გულითადი მადლობა გადავუხადოთ საბჭოთა ამხანაგებს მათი ლაიფციგის ექსპოზიციისათვის, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება. აქ წარმოდგენილმა ექსპონატებმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ისინი დამაჯერებლად გვიჩვენებენ საბჭოთა კავშირის უდიდეს პროგრესს ფართო მოხმარების საქონლის წარმოებაში. ვუსურვებთ საბჭოთა ამხანაგებს შემდგომ წარმატებებს მასობრივი მოხმარების საქონლის მრეწველობის განვითარებაში, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას“.

ჩიკაგოს ყრილობის რეზოლუციები

ჩიკაგო, 4 სექტემბერი. (საკდესი). ამერიკის პროგრესულმა ძალებმა ბრძოლა გამოუცხადეს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაბატონებულ პოლიტიკურ პარტიებს. მათ გადწყვიტეს მეტოქეობა გაუწიონ დემოკრატებსა და რესპუბლიკელებს კონგრესისა და შტატების საკანონმდებლო ორგანოების 1968 წლის არჩევნებში. ეს გადწყვეტილება 3 სექტემბერს ღამით მიიღო ახალი პოლიტიკური ძალების ჩიკაგოს ეროვნულმა ყრილობამ. ყრილობის რეზოლუცია ითვალისწინებს აგრეთვე ახალი პოლიტიკური ძალების კანდიდატის დასახელებას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე.

ორ სექტემბერს ღამისით მიღებულ რეზოლუციაში ყრილობამ ბრალი დაუჭირა ამერიკელი ზანგების მოთხოვნას თეორკანიანებთან ნამდვილი თანასწორუფლებიანობის შესახებ. ყრილობამ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული ჩაგვრისა და დისკრიმინაციის სისტემა მხოლოდ რეკონსტრუქციით გზით შეიძლება შეიცვალოს. ყრილობის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს ახალი, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და დგომეს ისრაელის აგრესია არაბული ქვეყნების წინააღმდეგ.

დოკუმენტი მიღებული ხმების სამი მეოთხედის უმრავლესობით.

ამ რეზოლუციის მოწონებამ ყრილობაზე ლახვარი ჩასცა ამ ძალებს, რომლებიც ცდილობდნენ განხეთქილება ჩამოეგდოთ ყრილობის მონაწილეთა შორის. ამ ბოლო დღეებში ამერიკის პრესა წინასწარმეტყველებდა ამ განხეთქილების გაღრმავებას.

ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა ფორუმი

ბრაიტონი, 4 სექტემბერი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები გ. კაზენსი და ო. პივოვაროვი გვაცნობინებენ:

დღეს აქ ზღვისპირა ქალაქ ბრაიტონში ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე გაიხსნა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა 99-ე ყოველწლიური კონგრესი. ახლანდელი კონგრესი ერთ-ერთი ყველაზე საგულისხმო ინგლისის გაერთიანებული პროფკავშირული მოძრაობის თითქმის ასი წლის ისტორიის მანძილზე. კონგრესის გახსნამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ვილსონმა გამოაცხადა, რომ არსებითი ცვლილებანი მოხდა მთავრობაში და პირადად იკისრა ინგლისის ეკონომიკის ხელმძღვანელობა.

კონგრესი მიმდინარეობს ლეიბორისტული მთავრობის ეკონომიური პოლიტიკის, — ფრთა წოდებული „ფასებისა და შემოსავლის“ პოლიტიკის ჩაფუშვის ვითარებაში. ამ პოლიტიკის არსია მშრომელთა ხელფასის გაყინვა ფასების განუწყვეტელი ზრდის პირობებში.

კონგრესის დარბაზში შეიკრიბა ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესში შემავალი 169 პროფკავშირის ათასამდე წარმომადგენელი. ამ პროფკავშირებში გაერთიანებულია ინგლისის თითქმის 9 მილიონი მშრომელი.

კონგრესის მუშაობაში პირველი დღე საერთოდ საზეიმო ხასიათისაა ხოლმე. მაგრამ კულუარებში უკვე დაიწყო აქტიური მზადება მომდევნო დღეების ბრძოლებისაკენ. მთელმა რიგმა პროფკავშირებმა, მათ შორის ინგლისის უდიდესმა პროფკავშირებმა ბრძოლა გამოუცხადეს მთავრობის პოლიტიკას.

ინდოეთი — ბრაზილია

ბრაზილია. ბრაზილიის ეროვნული ბანკის ყოფილი კომენდანტის ცოლმა, რომელსაც სისასტიკის გამო უწოდეს „ბუნებაველის ურჩხული“, გუშინ თავი ჩამოიხრჩო მიუხვნის მახლობლად, ანხახეს ქალაქ საპატიმროში, სადაც იგი სასჯელს იხდიდა.

ანხა ალბ, რომლის სინდისზეა ასეული ათასობით დაღუპული ადამიანის სიცოცხლე, 1947 წელს ამერიკის ტრიბუნალმა მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა. რასაც იგი იხდიდა ლანდსბერგის საპატიმროში. ორი წლის შემდეგ ილზა კოხი გაათავისუფლეს ამერიკის ლანდსბერგის საპატიმროდან და გადასცეს დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებს, რომლებმაც გაუზავნეს იგი ახახის ქალაქ საპატიმროში.

ამ ბოლო წლებში არაერთგზის შეეცადნენ შეემსუბუქებინათ განაჩენი „ბუნებაველის ურჩხულისათვის“. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მორიგი სასამართლო პროცესების დროს არა მარტო მტკიცდებოდა ილზა კოხის უდავო დანაშაული, არამედ მეღვანეები ბოდა სულ ახალ-ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობდნენ ჯალათი ქალის მხეცობას.

უკანასკნელად განაჩენის შემსუბუქების შეეცადა დასავლეთ გერმანიის ბავარიის მხარის იუსტიციის სამინისტრო. მაგრამ უცილობელი საბუთების გამო სამინისტროს წარმომადგენელი იძულებული იყო ედიარებინა, რომ ამისათვის „არავითარი საფუძველი არ არის“.

ბაგუოშის მე-17 კონფერენცია

სტოკჰოლმი. ქალაქ რონებიუში (შვეციის სამხრეთში) გაიხსნა პაგუოშის XVII კონფერენცია. კონფერენციაზე ჩამოვიდა მსოფლიოს 50 ქვეყნის 250-მდე მეცნიერი. მათ შორის არიან ცნობილი საბჭოთა აკადემიკოსები ბ. ლ. კაპიცა, ბ. დ. მილიონშჩიკოვი, ლ. ა. არციმოვიჩი, ა. ნ. ტუპოლევი, ვ. ა. ენგელგარდტი.

კონფერენციის მონაწილენი განიხილავენ და მიიღებენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლის პრობლემების რეკომენდაციებს. (საკდესი).

24 ქვეყნის კომიტეტში

ნიუ-იორკი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციის სპეციალურმა კომიტეტმა (24 ქვეყნის კომიტეტმა) მიიღო რეზოლუცია, რომელიც უკანონად აცხადებს იმას, რომ ინგლისი პირებს 10 სექტემბერს მოაწყოს რეფერენდუმი ბიბრალტარში ამ ტერიტორიის პოლიტიკური მომავლის გამოსარკვევად.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი პ. თ. შახოვი და ბულგარეთის წარმომადგენელი სიმეონ გამოვიდნენ კენჭისყრის მოტივებით და აღნიშნეს, რომ, მსარს უჭერენ რა რეზოლუციას, სსრ კავშირი და ბულგარეთი არ ეთანხმებიან ინგლისის განზრახვას მოაწყოს რეფერენდუმი სამხედრო რეჟიმის კონტროლით. რეფერენდუმის მოწყობა მიზნად ისახავს გიბრალტარში ამ თუ იმ ფორმის კოლონიალიზმის შენარჩუნებას.

გიბრალტარის საკითხი, აღნიშნეს სოციალისტური ქვეყნების დელეგატებმა, რეალურად ვერ გადაიჭრება, სანამ არ მოისპობა ბაზები მის ტერიტორიაზე და არ მოხდება მისი სრული დემილიტარიზაცია. (საკდესი).

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა



საიმედო საფარი.

ნახ. დ. ბაშალეიშვილისა.

მარგვეანა მსრის მოძრაობა შეჩერებული

სტოკჰოლმი. შვეცია დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყანაა იმ მცირეოდენ ქვეყნებს შორის, სადაც შემორჩენილი იყო ტრანსპორტის მარცხენა მხრის მოძრაობა. 3 სექტემბრიდან იქ გადაივიდნენ მარჯვენა მხრის მოძრაობაზე. ამ მოვლენას შვეციის ცხოვრებაში წინ უძღოდა ოთხი წლის მეტად სერიოზული მომზადება. შვეციის ხარჯები ამ მიზნით მარტო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 600 მილიონ კრონს გადაჭარბებს. ამჟამად მსოფლიოში 60 ქვეყანაა, სადაც ტრანსპორტი მარცხენა მხრით მოძრაობს. ევროპაში ასეთი სახელმწიფოებია ინგლისი, ისლანდია, კვიპროსი, ირლანდია და მალტა.

ამერიკელ ოკუპანტთა თვითნებობა

ამანი. 1 სექტემბერს დაიწყო სასწავლო წელი. სასწავლო წელი უნდა დაწყებულიყო ნაბლუსის პროვინციაშიც — იორდანიის ერთ-ერთ დასავლეთ პროვინციაში, რომელსაც ოკუპაციას უწევენ ისრაელის ჯარები. უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ვერ დაიწყო. ამ რაიონის ისრაელმა სამხედრო გუბერნატორმა. „სახელმწიფო უშიშროების“ მოსაზრებათა საფუძველზე, სკოლებში აკრძალა სწავლა იორდანელი სახელმძღვანელოებით, რადგან მეამბოხეურად მიიჩნია ისინი. შავ სიაში მოხვედნენ ფიზიკის, მორფოლოგიის, არაბული გრამატიკისა და სხვა სახელმძღვანელოები. ამის პასუხად, როგორც გაზეთი „ადდიფაა“ იუწყება, ნაბლუსის ოკუპირებული პროვინციის სკოლების მასწავლებლებმა გადაწყვიტეს გაფიცვა გამოაცხადონ და არ დაიწყონ მეცადინეობა ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალთა უკანონო მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. (საკდესი).

„ბუხენვალდის ურჩხულმა“ თავი მოიკლა

ბონი, 2 სექტემბერი. (საკდესი). ილზა კოხმა, ბუხენვალდის ჰიტლერული საკონცენტრაციო ბანაკის ყოფილი კომენდანტის ცოლმა, რომელსაც სისასტიკის გამო უწოდეს „ბუხენვალდის ურჩხული“, გუშინ თავი ჩამოიხრჩო მიუხვნის მახლობლად, ანხახეს ქალაქ საპატიმროში, სადაც იგი სასჯელს იხდიდა.

ილზა კოხს, რომლის სინდისზეა ასეული ათასობით დაღუპული ადამიანის სიცოცხლე, 1947 წელს ამერიკის ტრიბუნალმა მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა. რასაც იგი იხდიდა ლანდსბერგის საპატიმროში. ორი წლის შემდეგ ილზა კოხი გაათავისუფლეს ამერიკის ლანდსბერგის საპატიმროდან და გადასცეს დასავლეთ გერმანიის ხელისუფლებს, რომლებმაც გაუზავნეს იგი ახახის ქალაქ საპატიმროში.

ამ ბოლო წლებში არაერთგზის შეეცადნენ შეემსუბუქებინათ განაჩენი „ბუხენვალდის ურჩხულისათვის“. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან მორიგი სასამართლო პროცესების დროს არა მარტო მტკიცდებოდა ილზა კოხის უდავო დანაშაული, არამედ მეღვანეებისა და სხვა ადამიანების ბოდა სულ ახალ-ახალი ფაქტები, რომლებიც მოწმობდნენ ჯალ

ჩვენს კარ-ჭალაში

გვაცყობინებენ „კომუნისტისა“ და საქალაქო კორესპონდენტები

ახალი საჰაერო მარშრუტები

ლაგოდეხი. (ხაკ. კორ.). სულ უფრო და უფრო ფართოვდება ჩვენი რესპუბლიკის ცისფერი ბილიკების ქსელი. ამ დღეებში მათ რიცხვს შეემატება სამოქალაქო ავიაციის კიდევ ორი ახალი მარშრუტი: თელავი-აფენი-ლაგოდეხი და თელავი-წნორი-ლაგოდეხი.

ამ ტრასებზე „ან-12“ ტიპის თვითმფრინავები დღეში ორ-ორჯერ სრავენ კახეთის ცას.

ნაირ-ნაირი

ხაჩხერე. (ხაკ. კორ.) აქ დამთავრდა ახალი საკონსერვო ქარხნის შენებლობა. ქარხნის კოლექტივი ყოველწლიურად გამოუშვებს შვიდნახევარ მილიონ პირობით ქილა კონსერვს.

თელავი. (ხაკ. კორ.). სარაიონთაშორისო ხამონტაჟო-საგეგმავო-ტაცით კანტორა „თელავგაზის“ კოლექტივმა 8 თვის გეგმა 15 აგვისტოსათვის შეასრულა. მიგებამ 45.000 მანეთს მიაღწია. ეს გეგმის 149 პროცენტია.

ჟუთაისი. (ხაკ. კორ.). ხწრაფი ტემპით მიმდინარეობს ორი ახალი ხატროლეიბუსო მარშრუტის გაყვანა. ერთი მათგანი კაპიტან ბუხაიძის ქუჩაზე გაჰყავთ, მეორე მარშრუტი ივლის ლომონოსოვის ქუჩაზე, ელექტრომექანიკური ქარხნის მუშათა დასახლების ტერიტორიაზე.

შენდება პიონერთა ქალაქი

კოზმანის მაღალი მთის კალთებზე ყოველდღიურად დიდი მუშაობაა გაჩაღებული. აქ ძვირფას სამშენებლო ქვას ტეხენ ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეები და საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები. აქა-იქ ზომაზე დაჭრილი ქვების ბორცვები აღმართულა.

„პიონერული ქალაქისათვის“, — ასეთი წარწერები აშშენებენ ავტომანქანებს, რომლებითაც შემდეგ ქვა მიაქვთ სოფელ ზვარეში, მარადმწვანე წიწვიანი მცენარეების სამფლობელოში.

სწორედ აქ რაიონის პარტიული, საბჭოთა, ხაზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივითა და მონაწილეობით აშენდება პიონერთა ქალაქი. მომავალ თაობას ექნება კეთილმოწყობილი საზაფხულო დასასვენებელი ადგილი, სადაც ბავშვები გაიკაჟებენ სხეულს, გაჯანმრთელდებიან, რომ უკეთესად ისწავლონ და იშრომონ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ნ. ხახვაძე.

მწყემსებთან, იალაღებზე

ხევსურეთის ერთ-ერთ დიდ ხაზაფხულო იალაღზე — ყველაზეთილზე ჩვენი რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნის ცხვარი პალახობს. აქ ასობით მწყემსი, მწველავი და ვეტმუშაკია.

მწყემსების კულტურულ მომსახურებაზე დიდად ზრუნავს მახლობელი სოფლის — ხახმატის საასოფლო ბიბლიოთეკის გამგე, ანა ალაზარიძე ხევსური ბეწინა ალადური.

ბეწინა მწყემსების ხშირი სტუმარია. იგი მთელ დღეებს მათთან ატარებს. მიაქვს მეცხვარეებთან ეკურნალ-გაზეთები, წიგნები, ესაუბრება მათთვის საინტერესო საკითხებზე.

საზაფხულო იალაღებიდან წასვლამდე ბეწინას გადაწყვეტილი აქვს მწყემსებს აჩვენოს კინოსურათი და ადგილობრივი ძალებით მეცხვარეებისათვის გამართოს კონცერტი.

ლ. ხოსროშვილი.

ფინელი სტუმრები აფხაზეთში

სოხუმი, 4 სექტემბერი. (ხაქდეხის კორ.). ფინეთის ცენტრის პარტიის დელეგაციის წევრთა ჯგუფი, რომელსაც პარტიის გამგეობის წევრი ალე შემეიკა ხელმძღვანელობს, აფხაზეთს ეწვია. სტუმრები გაეცნენ აფხაზეთის სოფლის მეურნეობას, ღირსშესანიშნაობებს. დღეს დელეგაცია შეხვდა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მინისტრს ა. ნ. ღვინჯილიას.

ა. შემეიკამ აღტაცება გამოთქვა ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევების გამო და მადლობა გადაიხადა გულთბილი და მეგობრული მიღებისათვის.

ხელოვნების ამბები

კონცერტი მთაში

ამ დღეებში დუშეთის სარაიონო კულტურის სახლში თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებმა კონცერტი გამართეს.

კონცერტში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ს. ბაღაშვილი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი შ. ლორთქიფანიძე, დ. ხულორდავა და სხვები.

პროგრამაში იყო სიმღერები, ქართული და საზღვარგარეთის ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების მხატვრული კითხვა.

(„კომუნისტის“ კორ.).

ანსამბლი „გურია“

ჩოხატაური. (ხაკ. კორ.). ამ დღეებში სარაიონო კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა ვოკალური ანსამბლი „გურია“, რომელშიც 15 კაცია გაერთიანებული.

ანსამბლი, რომელსაც ლოტბარი ვ. გოგოლაძე ხელმძღვანელობს, ამზადებს სპეციალურ საკონცერტო პროგრამას ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

• მშობლიური პეიზაჟები •

„ხანაპიროზე დგას ერთი პალმა...“

ფოტოტეტიული ი. მაღალაშვილისა.

ყველა გზა მოვუჭრათ ფესრიგის დამრღვევს!

ვაიმართა ხიღნაღის რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივის კრებები. ეს მათ აიღდენს დანაშაულის გზას.

ულ მალე ჩვენი სოფლის ახალ გაზრდა ბისათვის გიგზნინ კლუბს, დამატებით გადავცემთ მათ სასპორტო მოედანს და დარბაზს. ყველაფერს ვიღონებთ, რათა, მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური კანონიერება.

სოფელ ულიანოვკის ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობის **პარტიულის** მდივანმა **კ. ლისუტოვმა** თათბირს აღუთქვა, **რომ** სოფელი ულიანოვკა ერთ-ერთი პირველი იქნება არა მარტო შრომაში, არამედ სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების საქმეშიც.

სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ი. ბეგიაშვილმა** თათბირს მოუთხრო სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში სოფლის მშრომელთა აქტიური მონაწილეობის შესახებ. მათი დაკალებით მან კრებას პირობა მისცა, რომ ანაგელები არც მომავალში შეირცხვენენ თავს, იბრძოლებენ სოფელში სანმეუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის, საბჭოთა კანონიერების მტკიცედ დაცვისათვის.

ხიღნაღის რაიონის **ბ. ხომხიშვილი,** რაიკავშირის **გ. ალავერდაშვილი,** მილიციის **ი. ჯანყარაშვილი,** მაღაროს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვ. ძნელაშვილი,** სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე **გ. წიქარაძე.**

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ხაქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ **გრ. ბიწაძემ.**

— დანაშაულობის სრული აღმოფხვრისათვის პარტიის მიერ ღებული კურსი, — თქვა მან, — დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს არა მარტო საზოგადოებრივი წესრიგის **დაცვის ორგანოებს,** არამედ საზოგადოებრიობასაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულობასთან, მართლწესრიგის დამრღვევებთან ბრძოლა საყოველთაოსახალხო საქმეა. ამიტომ დღეგანდელი თათბირი მეტად დიდი და კეთილშობილური ინიციატივაა. იგი მხარდაჭერისა და ყურადღების ღირსია. ამ ღონისძიებათა მიზანი ხომ მხოლოდ ერთია: შეექმნათ საზოგადოებრივი კეთილდღეობის ატმოსფერო.

ბოლოს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს პოლიტიკმზრდელობითი განყოფილების უფროსმა **ვ. გეგელაიმ** სიღნაღის რაიონის მილიციის უფროსს **ე. ჯანყარაშვილს** გადასცა **გარდამავალი ვიმპელი 1967 წლის მეორე კვარტალში** რაიონის **მილიციის განყოფილების მიერ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში რესპუბლიკაში მესამე ადგილის დაკავებისათვის.**

საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის ბრძანებით სიღნაღის რაიონის მილიციის განყოფილება **დაჯილდოებულ იქნა ავრეთვე ფულადი პრემიით.**

კრება მოწონებით შეხვდა ცნობას, რომ საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომმა და აღმასკომმა **თავიდან** აღმოფხვრისათვის **ბრძოლა** ... **ბ. ხომხიშვილი,** ... **ი. ალავერდაშვილი,** ... **ე. ჯანყარაშვილი,** ... **ვ. ძნელაშვილი,** ... **გ. წიქარაძე.**

„ბ“ კლასის მეოთხე ზონაში

გაიმართა „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდების მატჩები ფეხბურთში, აი მათი შედეგები:

„დინამო“ (მახაჩყალა) — „დინამო“ (სოხუმი) 3:0, „მაშინოსტროიტელი“ (პიატიგორსკი) — „მაღაროელი“ (პიატიგორსკი) 1:0, „ეროფეი“ (კრიმსკი) — „დილა“ (გორი) 0:0, „გურია“ (ლანჩხუთი) — „სპარტაკი“ (ციხისძირი) 2:0, „ენგური“ (ზუგდიდი) — „ეროფეი“ (მიაკოპი) 0:1, „არაქსი“ (ერევანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 2:2, „ლერნაგორაკი“ (ქაფანი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:1, „სუვანი“ (ოქტემბერიანი) — „ალიეთი“ (ფოთი) 2:0.

„დინამო“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) 1:1 (1:0). თბილისი. 4 სექტემბერი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი — ხ. არხიპოვი (მოსკოვი).

„დინამო“ — კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, ჭელიძე, გ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, კუტიკაძე, ასათიანი, მეტრეველი, ნიდილა, დათუნაშვილი (გიორგაძე); „არარატი“ — დემირჩიანი, სეროპიანი, აბრამიანი, ოგანესიანი, იუმაკულოვი, კოვალენკო, მესროპიანი, ატამანოვი (ბოხდარენკო), მელკუმოვი, ეგიაზარიანი, კაზარიანი.

დაახლოებით ოთხი თვის წინათ ამ გუნდებმა პირველი წრის მატჩი ერევანში თბილისელთა გამარჯვებით (1:0) დამთავრდა. ამიტომ არაფერი გასაკვირველი არ იყო იმაში, **რომ ხტუმრებს რევანში სწადდათ.**

ბრძოლა პირველ ტაიმში ტემპიანი, კორექტული გამოდგა. თანდანაბი თავი იჩინა მასპინძელთა უპირატესობამ, ხაგოლო მომენტებიც ცოტა როდი იყო, მაგრამ თბილისელი ფორვარდები კარგავდნენ ხელსაყრელ მომენტებს.

განუწყვეტელი იერიშების შემდეგ ანგარიში **22-ე** წუთზე დინამოელებმა გახსნეს. ერთ-ერთ კომბინაციას მოჰყვა კუტიკაძის ძლიერი დარტყმა. მეკარეს ვერ შეძლო ბურთის აღება და ნოდიას მეორე დარტყმას გოლი მოჰყვა.

მეორე ნახევარში სულ სხვა თამაშის მოწმენი ვიყავით. ჩაკრა მასპინძელთა ტემპიანი ბრძოლა. რაკამდეც ისინი მეტწილად ხაუთარი კარის მისადგომების დაცვაზე ზრუნავდნენ. სტუმრები კი პირიქით, მოქმედებდნენ მთელი დატვირთვით. თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე თბილისელთა კარი სახწაულებრივად გადაურჩა გოლს, მაგრამ 88-ე წუთზე ერევნელებმა მაინც შეძლეს წონასწორობის აღდგენა. გოლის ავტორი იყო კოვალენკო.

მატჩის შედეგი: ფრე — 1:1.

დუბლიორთა შეხვედრაც ფრედ (2:2) დამთავრდა.

ვ. გაბელია.

„ბ“ კლასის მეოთხე ზონაში

გაიმართა ხაკავშირო ჩემპიონატის ოცდამეოთხე ტურის კიდევ ექვსი მატჩი ფეხბურთში **უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.**

კვირას მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო მოედნებმა გახსნეს. ერთ-ერთ კომბინაციას მოჰყვა კუტიკაძის ძლიერი დარტყმა. მეკარემ ვერ შეძლო ბურთის აღება და ნოდიას მეორე დარტყმას გოლი მოჰყვა.

მეორე ნახევარში სულ სხვა თამაშის მოწმენი ვიყავით. ჩაკრა მასპინძელთა ტემპიანი ბრძოლა. რაკამდეც ისინი მეტწილად საკუთარი კარის მისადგომების დაცვაზე ზრუნავდნენ. სტუმრები კი პირიქით, მოქმედებდნენ მთელი დატვირთვით. თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე თბილისელთა კარი სახწაულებრივად გადაურჩა გოლს, მაგრამ 88-ე წუთზე ერევნელებმა მაინც შეძლეს წონასწორობის აღდგენა. გოლის ავტორი იყო კოვალენკო.

მატჩის შედეგი: ფრე — 1:1.

დუბლიორთა შეხვედრაც ფრედ (2:2) დამთავრდა.

ვ. გაბელია.

რევანში არ შედგა

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ნეფტჩანიკი“ (ბაქო) 1:1 (1:0). ქუთაისი. 4 სექტემბერი. მსაჯი — **ნ. კრილოვი** (კუიბაშევი).

„ტორპედო“ — ნარსია, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ძოძუაშვილი, ილიადი, წვერავა, ახალაშვილი, ვეკუა, ხუციშვილი (ჩხაიძე), ჭოთანავა; „ნეფტჩანიკი“ — კრამარენკო, ა. ბაბაევი, ბრუხტი, ი. ბაბაევი, სიომინი, სემგლაზოვი, ტუაევი, ბოგდანოვი (აბდულაევი), ხმოლნიკოვი, გაჯიევი, ზეინალოვი.

ქუთაისელებმა დასაწყისიდანვე ხშირად უტკენდნენ მეტოქის კარს. მე-15 წუთზე სტუმრების კართან შექმნილი პრეკულიტით კარგად ისარგებლა ჭოთანავამ და ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. ამის შემდეგაც მასპინძლებს გამუდმებით მიაქონდათ იერიშები, მაგრამ ანგარიში არ შეიცვლილა.

მეორე ტაიმში, ჩანს ტორპედოელებს გამძლეობა არ ეყოთ. ამასთანავე უნდა დავძინოთ, რომ ხუციშვილის ნაცვლად ჩხაიძის გამოყენასა სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ბაქოელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და თამაშის ნმ-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრეს. გოლის ავტორი იყო გაჯიევი. შეხვედრის შედეგია ფრე — 1:1.

დუბლიორთა მატჩში გაიმარჯვეს ქუთაისელებმა 2:0.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

მატჩები და შედეგები

3 და 4 სექტემბერს გაიმართა ხაკავშირო ჩემპიონატის ოცდამეოთხე ტურის კიდევ ექვსი მატჩი ფეხბურთში **უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის.**

კვირას მოსკოვში თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოსა“ და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდები. მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს — ფრე.

დონეცკი „მანტიორი“ მოსკოვს ეწვია და აქ შეხვდა ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელს დედაქალაქის „სპარტაკს“. გაიმარჯვეს დონეცკელებმა — 1:0.

შეხვედრა ოდესაში ადგილობრივი „ჩერნომორეცისა“ და ალმა-ატის „კაირატის“ გუნდებს შორის დამთავრდა კაირატის გამარჯვებით 1:0.

კიევში „დინამოს“ გუშინდელი ოცდამეოთხე ტურის მატჩიც საკუთარ მოედანზე ჰქონდა, ამჯერად ტამკენტის „პახტაკორთან“. ასპარეზობის შედეგია 4:0 კიეველთა სასარგებლოდ.

კუიბიშევში თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელთა კოლექტივები. მატჩი მოიგეს კუიბიშეველებმა 2:1.

მინსკში დინამოელებს მორიგი ტურის მატჩი საკუთარ მოედანზე ჰქონდათ ლუგანსკის „ზარიასთან“ და შეხვედრა ფრედ (1:1) დამთავრეს.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 5 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (ბ.)	24	13	10	1	41-13	36
„დინამო“ (ძ.)	24	13	9	2	34-9	35
„დინამო“ (თბ.)	24	10	9	5	31-20	29
„სპარტაკი“ (მ.)	24	11	7	6	31-21	29
„შახტიორი“ (დ.)	24	9	10	5	27-26	28
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	23	9	8	6	38-24	26
„დინამო“ (მნ.)	24	7	12	5	31-23	26
„ტორპედო“ (მ.)	24	10	5	9	28-29	25
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	23	6	12	5	16-13	24
„სკა (როსტ.)	24	9	5	10	24-31	23
„არარატი“ (ერ.)	23	7	8	8	21-24	22
„ცსკა“	22	7	7	8	21-24	21
„პახტაკორი“ (ტ.)	24	4	12	8	23-29	20
„კაირატი“ (ალმ.)	24	6	8	10	20-33	20
„ზარია“ (ლ.)	23	5	9	9	16-22	19
„ჩერნომორ“. (ო.)	24	6	6	12	17-30	18
„ლოკომოტ.“ (მ.)	23	5	7	11	19-26	17
„ტორპედო“ (ქ.)	24	4	9	11	20-34	17
„ზენიტი“ (ლ.)	23	5	3	15	16-43	13

სპორტული ქრონიკა

◆ **ჯავანაში** კაპიტალურ ხხოვნის საერთაშორისო საჰიდროკტურნირზე გამთამშდა ცხრა ტური. ლიდერია ლ. პოლუგაევსკი — 6,5 ქულა.

◆ **სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრები ფინეთის ქალაქ ტურკუს ეწვია, სადაც ხვალ „კუპატას“ სტადიონზე გამართავს მორიგ შეხვედრას მატჩს ევროპის პირველობაზე ფინეთის გუნდთან. ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში არიან: მეკარეები — ა. კავაზაშვილი და ი. პჩენიჩნიკოვი; მცველები — ვ. აფონინი, ა. შესტერნინოვი, მ. ხურცილავა, გ. ცხოვრებოვი, ვ. ანიჩკინი, ნახევარმცველები — ი. სიბო, ვ. მასლოვი, გ. ლოგოფეტი; თავდამსხმელები — ი. ჩისლენკო, ა. ბანიშევსკი, ა. ბიშოვეცი, ე. მალოფეევი, ა. ესკოვი, ე. სტრელცოვი.

◆ **ფყალგურთველთა** ტურნირზე, რომელიც ბაკურიანში გაიმართა, საბჭოთა ახალგაზრდულმა გუნდმა ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

◆ **სოფიაში** „ოლიმპიური იმედის“ ფეხბურთელთა ტურნირზე ბულგარელებმა დაამარცხეს იუგოსლავიის გუნდი 2:1 და პირველი ადგილი დაიკავეს. **საბჭოთა კავშირის** გუნდი მესამე იყო.

◆ **ვენაში** ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ნორვეგიელებმა საკუთარ მოედანზე დაამარცხეს შვედი ფეხბურთელები 3:1.

ტურნირი თბილისში

თბილისში რამდენიმე დღე მიმდინარეობს სასპორტო საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. მონაწილეობენ თბილისის, კიევის, მოსკოვის ოლქის, ხარკოვის, ალმა-ატისა და ლვოვის გუნდები.

პირველ დღეს თბილისის დინამოელები შეხვდნენ კიეველ თანაკლუბელებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:3. ეი დანარჩენი მატჩების შედეგები: ალმა-ატა—მოსკოვის ოლქი 5:1, ხარკოვი — ლვოვი 2:1. კვირის მატჩების შედეგებია: თბილისი—ალმა-ატა 3:1, მოსკოვის ოლქი — ხარკოვი 3:1, კიევი — ლვოვი 3:3.

გუშინ შედგა მორიგი ტურის შეხვედრები. თბილისელებმა დამარცხეს მოსკოვის ოლქის გუნდი 5:2 და 6 ქულით ლიდერები გახდნენ.

როტერდამის იპოდრომზე

ამსტერდამში ევროპის ჩემპიონატი დამთავრების შემდეგ (დაბრკოლებათა გადალახვა ცხენოსნებმაბი) მოეწყო საერთაშორისო ტურნირი ცხენის გაწვრთნილობაში. საბჭოთა სპორტსმენებმა ... ლიტა (ცხენი „ფასენტი“), რომელმა მეოთხე ადგილი დაიკავა — 852 ქულა. გაიმარჯვა გერმანიის ... ტიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა რ. კლიმკემმა — 951 ქულა.

მეგობრის ხსოვნას



მოულოდნელად გარდაიცვალა რობერტ შალვას-ძე ბაბანოვი. ჩვენთვის, ვინც მას ვიცნობდით, ვისაც მის გვერდით წლობით გვიმუშავია და ლამეები გვითენებია, რობერტი მეტად ძვირფასი და ახლობელი ადამიანი იყო.

უმამოდ გაზრდილმა ბიჭმა დამოუკიდებლად გაიკვლია გზა ცხოვრებაში. ჯერ ისევ სრულიად ახალგაზრდა, 18 წლის ჭაბუკი იყო, ამ ერთი ათეული წლის წინათ პირველად რომ მოვიდა ჩვენთან, საქართველოს კა ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფკომბინატში და გვერდში ამოუდგა კვალიფიციურ პოლიგრაფისტებსა და ეკურნალისტებს. იგი ღრმად იყო დაუფლებული ასოთამწყობის ძნელ და პასუხსაგებ პროფესიას და მთელ კომბინატში იცნობდნენ, როგორც ამ საქმის კარგ ოსტატს.

უკანასკნელად გაზეთ „კომუნისტის“ დამკაბადონებლად მუშაობდა. მრავალი გვერდი ჩვენი გაზეთის, იმ ნომრებიდან, რომლებიც ამ უკანასკნელი წლების მანძილზე წაუკითხავს მკითხველს, სწორედ მისი დაკაბადონებული იყო. ცოდნის გარდა, იგი მუდამ წრფელ სიყვარულს აქსოვდა საქმეში. და ახლა, ამ ხამწუხარო სტრიქონებს რომ ვაწყობთ მისი ამხანაგები, კვლავ თვალწინ გვიდგას ჩვენი რობერტი, რომელსაც ჯერ ოცდაათი წელიწადიც არ შესრულებოდა.

ამხანაგების ჯგუფი.

4 ოქრო, 2 ვერცხლი

რ. რურუა — მხოფლიოს ოლიმპიონი

ბუქარესტში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. 24 ქვეყნის 150-ზე მეტი სპორტსმენი ეცილებოდა ერმანეთს პირველობას.

ოთხი ოქროსა და ორი ვერცხლის მედალი — ასეთია საბჭოთა ათლეტების ნაგალითი ამ ჩემპიონატზე. პირად შეჯიბრებაში ასეთ წარმატებას გუნდური გამარჯვებაც მოჰყვა — საბჭოთა მოჭიდავეების კოლექტივი 34 ქულით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ჩვენს ნაკრებს 5 ქულით ჩამორჩა და ვერცხლის პრიზიორი გახდა უნგრეთის გუნდი.

საბჭოთა ოქროს ოთხეულში არის ორი ათლეტი, რომლებმაც მეორეჯერ მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ესენი არიან თბილისელი რ. რურუა (ქვემსუბუქი წონა) და ომსკელი ი. ინპუშინი (ქვესაშუალო წონა). ალმაატელ ბ. ბაბაჯანს ოქროს მედლის მოსაპოვებლად უკანასკნელ ორთაბრძოლაში ხელს აძლევდა მწოლოდ მოგება. ეს მან შეძლო — დაამარცხა რუმინელი ბ. ტშრტე და ჩემპიონობა დაიმკვიდრა. დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე ქვემძიმე წონის მოჭიდავეს დონის როსტოვიდან ნ. ია-კუბოვსაც. ბანაკ ჩემპიონობა დაიმსახურა.

ბ. ოლენინმა (ხაშუალო წონა) და ა. რუბაჩინმა (მძიმე წონა) ვერცხლის მედლები მოიპოვეს.

სურათზე: რ. რურუა.

თბილისელთა ორი გამარჯვება

რიგაში დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ტური ხელბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. აქ 12 კოლექტივი ეცილება ერთმანეთს პირველობას.

მეტოქეებმა ექვს-ექვსი თამაში უნდა გამართონ. პირველი დღის შეხვედრათა შედეგები ასეთი იყო: მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი — „კუნცევო“ (მოსკოვი) 17:17, თბილისის „ბურევესტნიკი“ — ბაქოს სკა 29:23 (17:11), „პოლიტექნიკი“ (მინსკი) — სკა (ლვოვი) 21:17, სკა (კიევი) — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ 16:13, „დაუგავა“ (რიგა) — „ალკიორისი“ (კაუნასი) 22:17.

კვირას შედგა მორიგი შეხვედრები. თბილისის „ბურევესტნიკმა“ დამარცხა კაუნასის „ალკიორისი“ 25:16; ბაქოს არმიელმა ხელბურთელებმა მოუგეს კიეველ თანაკლუბელებს 26:16; ლვოვის სკა-მ სძლია ზაპოროჟიეს „ალუმინსტროის“ 19:18; მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა მინსკის „პოლიტექნიკი“ 23:19; რიგის „დაუგავამ“ და ლენინგრადის „ბოლშევიკის“ მატჩი დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით ანგარიშით 25:20.

ამრიგად, თბილისის „ბურევესტნიკმა“ სტარტზე ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგო და ლიდერი გახდა.

... ბ ... ...